

15/09/2026



MES 9 26 0001228265

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 3 სექტემბერს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=87627844761>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში –საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);

ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);

გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

ხათუნა ცერცვაძე – სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე (საბჭოს წევრი);

ეკატერინე გიგაშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

გოგიტა მშვენიერაძე – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ „კონტრუქტ2“-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი)

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნათია მჭედლიძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნინო ხელაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მარიამ ჩოხელი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მარიამ სულთანაშვილი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

თეკლე ცუცქირიძე
დიმიტრი ქარსელაძე
ნათია მაწკეპლაძე
ზვიად ოდიშვილი
მაგული მეზონია
ბექა ადუაშვილი
მარიკა ქიქავა
გვანცა პაკატილოვი
ეკა ბუთხუზი
ნანა შარაბიძე
ნინო ბალახაშვილი
დემიდ ფასიშვილი
ირმა მეგრელიძე
სალომე გოგიაშვილი
ირმა ღარიბაშვილი
ვერიკო ხელისუფალი
შორენა უზუნაძე

დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი – გიორგი ოკრიბელაშვილი
პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი – ნანა შარაბიძე

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“

კოლეჯის დირექტორი – ილია ოშხერელი
კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი – დარეჯან ჭელიძე

სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რექტორი – თეონა ხუფენია
პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი – მანანა სამუშია
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი – ქეთევან ლომაია

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:05 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის

მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. „სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 23 თებერვლის №208626 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ახალგაზრდული საქმიანობა“, „ადმინისტრაციული სერვისები“, „მებაღეობა“, „ელექტრობა“, „ინფორმაციის ტექნოლოგია“, „სტომატოლოგიის ასისტენტი“ , „შედუღება“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქალაქ ზუგდიდის ლოკაცია);
3. სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ახალგაზრდული საქმიანობა“, „ადმინისტრაციული სერვისები“, „მებაღეობა“, „ელექტრობა“, „ინფორმაციის ტექნოლოგია“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქალაქ სენაკის ლოკაცია);
4. სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბჭოს მიერ ჩანიშნული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება", "მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავის შეკეთება", "მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება" და "ელექტრობა" დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ კოლეჯ "ერქვანისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისები“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს ჰქონდა შუამდგომლობა.

შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, რომელმაც საბჭოს წევრებს გააცნო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შუამდგომლობა სსიპ კოლეჯ „ბლექსთან“ დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში 2026 წლის 30 ივლისს შემოვიდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის, ბაია კვიციანის N992141 წერილი, რომელიც ეხება სსიპ კოლეჯი „ბლექსის“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ ჩანიშნულ მონიტორინგს, ავტორიზაციის V სტანდარტის 5.1 კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, ქ. ბათუმში, ლერმონტოვის ქ. N92ა-ში მდებარე შენობაში ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობასთან დაკავშირებით. მინისტრის მოადგილის წერილის შესაბამისად, აღნიშნულ უძრავ ქონებაზე (ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. N92ა) ჩატარდა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზა. ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, აღნიშნული შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა არადაკმაყოფილებელია, ექვემდებარება დემონტაჟს და მის ადგილზე იგეგმება ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა. შესაბამისად, აღნიშნულ სადემონტაჟო შენობაში ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობა (სავარაუდო ღირებულებით 209 980.44 ლარი) წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ და არარაციონალურ ხარჯვას, რის გამოც დაწესებულებას არ მიეცა აღნიშნული ფინანსური რესურსის გამოყენების თანხმობა.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სამინისტრომ იშუამდგომლა საბჭოს წინაშე, რათა ძველ შენობაში გაუქმდეს დანიშნული მონიტორინგი, ხოლო ახალ შენობაში გადასვლის შემდეგ დაიწყოს ფართის ცვლილების სრული ადმინისტრაციული წარმოება და საბჭოს წარედგინოს შესაბამისი დასკვნა.

კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორმა, გიორგი გოგიტიძემ, აღნიშნა, რომ ახალი შენობის მშენებლობა ფაქტობრივად დასრულებულია და 16 სექტემბრიდან დაიწყება იქ გადასვლის პროცედურები. დირექტორის განმარტებით, ახალი ინფრასტრუქტურა სრულად არის აღჭურვილი თანამედროვე ცენტრალური გათბობის, ვენტილაციისა და სახანძრო უსაფრთხოების სისტემებით. ამდენად, ძველ კორპუსში ძვირადღირებული სისტემის დამონტაჟება, რომლის ექსპლუატაციაც მხოლოდ ორიოდ თვეს გასტანდა, ფინანსური თვალსაზრისით გაუმართლებელი იყო. მან აგრეთვე დასძინა, რომ ძველი შენობის დემონტაჟის შემდგომ მის ადგილზე ახალი კამპუსის აშენება იგეგმება, ხოლო ახალ ობიექტზე გადასვლისთანავე დაწესებულება ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით დაიწყებს მისამართის ცვლილებისა და სათანადო ექსპერტული შემოწმების პროცესს. საბჭოს თავმჯდომარის კითხვაზე სტანდარტებთან სრული შესაბამისობის ვადების შესახებ, დირექტორმა აღნიშნა, რომ ფიზიკურ გადასვლასთან ერთად საჭირო იქნება გარკვეული დრო შენობის სახელმწიფო ჩაბარებისა და შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტაციის სრულყოფილად გაფორმებისთვის.

საკითხთან დაკავშირებით პოზიცია დააფიქსირა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა თამარ კვინიკაძემ. მან ხაზი გაუსვა, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა შეთანხმებულია სამინისტროს ხელმძღვანელობასთან. ექსპერტიზის დასკვნით დადასტურებულია, რომ ძველი შენობა რეაბილიტაციას არ ექვემდებარება და ახალ კორპუსში ოპერირების დაწყებისთანავე განხორციელდება მისი დემონტაჟი, რის გამოც მასში 200 000 ლარზე მეტის ინვესტირება მიზანშეუწონელია. დეპარტამენტის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ახალ ობიექტზე სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია, მიმდინარეობს მხოლოდ მცირე დეტალების გასწორება და სამშენებლო კომპანიასთან შეთანხმებით, სექტემბრის მეორე ნახევრიდან დაიწყება ინვენტარისა და აღჭურვილობის შეტანა. გამომსვლელმა საბჭოს მიმართა თხოვნით, რომ პროცესში არსებული გარდაუვალი ბიუროკრატიული და სამართლებრივი პროცედურების (მათ შორის სახანძრო უსაფრთხოების ექსპერტიზისა და შენობის კოლეჯის ბალანსზე გადაცემის) გათვალისწინებით, დაწესებულებას მიეცეს მაქსიმალური გონივრული ვადა, რათა პროგრამების ინფრასტრუქტურულ შესაბამისობაზე საბოლოო შეფასება ობიექტურად მომზადდეს.

მხარეთა მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციისა და დამატებითი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ კოლეჯ „ბლექსისთვის“ ავტორიზაციის საბჭოს მიერ ადრე დანიშნული მონიტორინგის მოხსნის (გაუქმების) თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

პირველი საკითხი: „სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 23 თებერვლის №208626 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. მან განმარტა, რომ საქმე ეხება საგანმანათლებლო პროგრამების ახალ ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმოადგინა განახლებული სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „ვეტერინარია“, „ბუღალტრული აღრიცხვა“ და „ბიბლიოთეკარი“. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და შედარებითი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ცვლილება შეეხო მხოლოდ პროგრამების პარამეტრებს, კერძოდ, კრედიტების მოცულობას. დაწესებულების ინფორმაციით, არსებულ პროგრამებზე უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები სწავლას დაასრულებენ მიმდინარე რეჟიმში, ხოლო 16 სექტემბრიდან გამოცხადებული ახალი მიღების ფარგლებში სტუდენტთა რეგისტრაცია და ჩარიცხვა განხორციელდება განახლებული პარამეტრების მქონე პროგრამებზე. ცვლილებების მიხედვით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ვეტერინარია“ კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის განისაზღვრა 128 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 158 კრედიტით; პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ ქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 97 კრედიტით, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 127 კრედიტით; ხოლო პროგრამაზე „ბიბლიოთეკარი“ ქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 87 კრედიტით, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის კი – 117 კრედიტით. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების პროექტი წინასწარ გაეგზავნა საგანმანათლებლო დაწესებულებას და მიღებულია მათი თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 23 თებერვლის №208626 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 23 თებერვლის №208626

გადაწყვეტილებაში, კერძოდ: ცვლილება განხორციელდეს „ვეტერინარიის“, „ბუღალტრული აღრიცხვის“ და „ბიბლიოთეკარის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების პარამეტრებში. გადაწყვეტილების №208626 მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 1).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 3 სექტემბერი.

მეორე საკითხი: სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ახალგაზრდული საქმიანობა“, „ადმინისტრაციული სერვისები“, „მებაღეობა“, „ელექტროობა“, „ინფორმაციის ტექნოლოგია“, „სტომატოლოგიის ასისტენტი“, „შედულება“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქალაქ ზუგდიდის ლოკაცია);

მესამე საკითხი: სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ახალგაზრდული საქმიანობა“, „ადმინისტრაციული სერვისები“, „მებაღეობა“, „ელექტროობა“, „ინფორმაციის ტექნოლოგია“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქალაქ სენაკის ლოკაცია);

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის შეთავაზებით, საბჭოს თავმჯდომარის, ელენე კაკაბაძის გადაწყვეტილებითა და საბჭოს წევრთა თანხმობით, პროგრამების იდენტური შინაარსისა და ინსტიტუციური მიდგომების გათვალისწინებით, დღის წესრიგის მეორე და მესამე საკითხები გაერთიანდა და ექსპერტთა ჯგუფებმა ერთობლივი პრეზენტაცია წარადგინეს.

ზუგდიდის ლოკაციაზე (ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14) განხორციელებული საექსპერტო ვიზიტის შედეგები წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირმა მეგრელიძემ. მან აღნიშნა, რომ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა (ჯგუფის წევრები: სალომე გოგიაშვილი, ირმა ღარიბაშვილი, ვერიკო ხელაშვილი, მარიკა ქიქავა, ნანა შარაბიძე, ნინო ბალახაშვილი, შორენა უზუნაძე, დავით ფასიეშვილი) შეაფასა რვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესაძლებლობა. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა გასაუბრებები დაწესებულების ხელმძღვანელობასთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან; ადგილზე დათვალიერდა სასწავლო აუდიტორიები, პრაქტიკული სწავლების სივრცეები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სენაკის ლოკაციაზე (ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. №92) განხორციელებული ვიზიტის შესახებ ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გვანცა პაკატილოვმა. მან აღნიშნა, რომ 2026 წლის 27-28 ივლისს ჩატარებული ვიზიტის ფარგლებში (ჯგუფის წევრები: ეკა ბუთხუზი, ვერიკო ხელისუფალი, მარიკა ქიქავა, ნანა შარაბიძე, ნინო ბალახაშვილი, დემიდ ფასიეშვილი) შეფასდა ხუთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი, გაიმართა შეხვედრები პერსონალთან და ადგილზე დათვალიერდა სასწავლო და პრაქტიკის ბაზები.

სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას აღინიშნა, რომ დაწესებულებისა და ექსპერტთა შეფასებები სრულად დაემთხვა ერთმანეთს. ზუგდიდის ლოკაციაზე პროგრამები „ახალგაზრდული საქმიანობა“, „ადმინისტრაციული სერვისები“, „მებაღეობა“ და „სტომატოლოგიის ასისტენტი“ შეფასდა სრულ შესაბამისობაში, ხოლო პროგრამები „ელექტროობა“, „შედულება“, „ინფორმაციის ტექნოლოგია“ და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ – მეტწილ შესაბამისობაში. სენაკის ლოკაციაზე პროგრამები „ახალგაზრდული საქმიანობა“, „ადმინისტრაციული სერვისები“ და „მებაღეობა“ შეფასდა სრულ შესაბამისობაში, ხოლო „ელექტროობა“ და „ინფორმაციის ტექნოლოგია“ – მეტწილ შესაბამისობაში. მეტწილად შეფასებულ პროგრამებთან დაკავშირებით, ინდიკატორ 2.2.1.1-ის ფარგლებში, ორივე ლოკაციაზე გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში მატერიალური რესურსების სრულყოფის თაობაზე. ამასთანავე, პროგრამაზე „ახალგაზრდული საქმიანობა“ გაცემული იყო განმავითარებელი რეკომენდაცია სასწავლო გეგმაში დარგობრივი მოდულების ლოგიკური თანმიმდევრობის გადახედვის შესახებ, რაც დაწესებულებამ ოპერატიულად გაიზიარა და შესწორებული სასწავლო გეგმები არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა. ექსპერტებმა საბჭოს დეტალურად გააცნეს წარმოდგენილი პროგრამების პარამეტრები და რესურსები.

ზუგდიდის ლოკაციაზე წარმოდგენილია:

„ახალგაზრდული საქმიანობა“ (V დონე, კოოპერაციული სწავლება, 45 სტუდენტი, 119/149 კრედიტი ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, 17 მასწავლებელი), რომლის პარტნიორები არიან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია და მისი სტრუქტურული ერთეულები, დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი, ზვიად გამსახურდიას სახელობის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკა, ასოციაცია „ათინათი“ და №2 საჯარო სკოლა;

„ადმინისტრაციული სერვისები“ (IV დონე, კოოპერაციული სწავლება, 40 სტუდენტი, 70/100 კრედიტი, 22 მასწავლებელი, პარტნიორები – მერია და შპს „ზუგდიდი მოლი“); „ელექტროობა“ (III დონე, კოოპერაციული სწავლება, 30 სტუდენტი, 66/81 კრედიტი, 15 მასწავლებელი, პარტნიორი – სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ და შპს „ზუგდიდი მოლი“);

„მებაღეობა“ (IV დონე, დუალური სწავლება, 20 სტუდენტი, 85/115 კრედიტი, 12 მასწავლებელი, პარტნიორი – ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი);

„ინფორმაციის ტექნოლოგია“ (III დონე, იმიტირებული სწავლება, 40 სტუდენტი, 55/70 კრედიტი, 14 მასწავლებელი);

„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ (IV დონე, იმიტირებული სწავლება, 40 სტუდენტი, 87/117 კრედიტი, 10 მასწავლებელი);

„სტომატოლოგიის ასისტენტი“ (IV დონე, კოოპერაციული სწავლება, 20 სტუდენტი, 82/112 კრედიტი, 13 მასწავლებელი, პარტნიორები – ი/მ თამარ ჩხეკაძის სტომატოლოგიური კლინიკა და შპს „ბედნიერი ღიმილი“);

„შედულება“ (IV დონე, იმიტირებული სწავლება, 28 სტუდენტი, 87/117 კრედიტი, 10 მასწავლებელი).

სენაკის ლოკაციაზე წარმოდგენილია შემდეგი პროგრამები:

„ახალგაზრდული საქმიანობა“ (V დონე, კოდი 0922, კოოპერაციული სწავლება, 45 სტუდენტი, 119/149 კრედიტი, 16 მასწავლებელი, პარტნიორები – ა(ა)იპ „საქართველოს სტუდენტური პარლამენტი და მთავრობის სენაკის წარმომადგენლობა“, ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი“, სსიპ თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის №7 საჯარო სკოლა და სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრი);

„ადმინისტრაციული სერვისები“ (IV დონე, კოდი 0413, კოოპერაციული სწავლება, 40 სტუდენტი, 70/100 კრედიტი, 21 მასწავლებელი, პარტნიორები – სენაკის რესურსცენტრი და შპს „სენამედი“);

„ელექტრობა“ (III დონე, კოდი 0713, კოოპერაციული სწავლება, 30 სტუდენტი, 66/81 კრედიტი, 15 მასწავლებელი, პარტნიორი – სს „ენერგო-პრო ჯორჯია“);

„მებაღეობა“ (IV დონე, კოდი 0812, იმიტირებული სწავლება სადემონსტრაციო ნაკვეთსა და შიდა ეზოში, 30 სტუდენტი, 85/115 კრედიტი, 14 მასწავლებელი);

„ინფორმაციის ტექნოლოგია“ (III დონე, კოდი 0612, იმიტირებული სწავლება, 40 სტუდენტი, 55/70 კრედიტი, 13 მასწავლებელი).

მეთოდოლოგიური და პროცედურული უზრუნველყოფის ნაწილში აღინიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამები შემუშავებულია მოქმედი ეროვნული სტანდარტებისა და უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი აქტების სრული დაცვით. დაწესებულებაში მოქმედებს სტუდენტთა ჩარიცხვის, შეფასებისა და შეფასების ინსტრუმენტების წინასწარი ვალიდაციის გამართული მექანიზმები. შეფასების სისტემის ხარისხის კონტროლისთვის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 26 აგვისტოს №41 დადგენილებით დამტკიცებულია ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც რისკებზე დაფუძნებული შერჩევითი პრინციპით უზრუნველყოფს ინსტრუმენტების, პროცესისა და მტკიცებულებების შემოწმებას. შეფასების მტკიცებულებები ინახება 3 წლის ვადით. ექსპერტთა ჯგუფებმა საბჭოს წარუდგინეს ორივე ლოკაციაზე არსებული თეორიული, პრაქტიკული და სამუშაო გარემოების, ასევე საბიბლიოთეკო ფონდის (ბეჭდური და ელექტრონული რესურსების) დამადასტურებელი ფოტომასალა და გამოხატეს მზადყოფნა შეკითხვებზე პასუხის გასაცემად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს მდივანმა ნათია ბუთხუზმა შეკითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს ინდიკატორ 2.4.1.1-თან დაკავშირებით გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც პროგრამა „ახალგაზრდული საქმიანობის“ სასწავლო გეგმაში მოდულების თანმიმდევრობის ცვლილებას შეეხებოდა. საბჭოს მდივანი დაინტერესდა, თუკი არსებული გეგმით სწავლის შედეგები მიიღწეოდა და წინაპირობები დაცული იყო, რატომ გახდა საჭირო მოდულების გადაადგილება და რატომ მიიჩნია დაწესებულებამ აღნიშნული ცვლილება მისაღებად. დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ ახალგაზრდული საქმიანობა წარმოადგენს ახალ სფეროს, რის გამოც მიზანშეწონილი იყო სწავლების დაწყება საბაზისო კომპონენტით – ახალგაზრდების ინტერესებისა და საჭიროებების კვლევით, რათა სტუდენტებს საწყის ეტაპზევე შეესწავლათ მიზნობრივი ჯგუფის მოთხოვნები და მხოლოდ ამის შემდგომ გადასულიყვნენ სერვისებისა და პროექტების დაგეგმვაზე, ხოლო მეწარმეობის მოდული,

როგორც დამხმარე ინსტრუმენტი, სწავლების მომდევნო ეტაპზე გადასულიყო. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია გათვალისწინებულია ნაწილობრივ: საჭიროებების კვლევის მოდული გადმოვიდა პირველ სასწავლო წელს, ხოლო ახალგაზრდული პროექტების განხორციელებისა და მეწარმეობის მოდულები დარჩა მეორე წელს, ვინაიდან პირველ წელს მათი ერთობლივად განთავსება გამოიწვევდა კვირეული საათობრივი დატვირთვის გადაჭარბებას. საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ აღნიშნა, რომ ვინაიდან საქმე ეხებოდა განმავითარებელ რეკომენდაციას და წინაპირობების დარღვევას ადგილი არ ჰქონია, პროგრამის პრაქტიკაში დანერგვის შემდგომ დაწესებულება თავად საჭიროებისამებრ დააკორექტირებს მოდულების თანმიმდევრობას.

საბჭოს თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა ქალაქ ზუგდიდის ლოკაციაზე პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისების“ მატერიალური უზრუნველყოფით, კერძოდ, რამდენად უზრუნველყოფდა ექსპერტთა დასკვნაში მითითებული მხოლოდ A ტიპის გარემო პროგრამით გათვალისწინებული კომპიუტერული და ციფრული უნარების გამომუშავებას. დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული სასწავლო სივრცე სრულად არის აღჭურვილი პერსონალური კომპიუტერებითა და პორტატიული კომპიუტერებით და ლეპტოპებით, რაც სრულფასოვნად უზრუნველყოფს B ტიპის სამუშაო გარემოს შექმნასაც, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი დამატებით განხორციელდება პარტნიორ ორგანიზაციებში. სენაკის ლოკაციაზე ხუთივე პროგრამის დამატებისას სასწავლო გარემოების (A, B, C ტიპის სივრცეების) დროში თანაკვეთისა და სასწავლო ცხრილების გადატვირთვის რისკებთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გვანცა პაკატილოვმა განმარტა, რომ დეტალურად შემოწმდა აუდიტორიების გამტარუნარიანობა, მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა და გადანაწილების გეგმები, რაც სრულად გამორიცხავს პროცესების გადაფარვას. პარტნიორ ორგანიზაციებში (მათ შორის სს „ენერგო-პრო ჯორჯიაში“) სტუდენტთა მიღების მზაობასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ პრაქტიკული სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად 15-კაციანი ნაკადი დამატებით დაიყოფა 7-8-სტუდენტთან ქვეჯგუფებად. საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მიუთითა დასკვნის ტექსტში დაფიქსირებულ ტექნიკურ უზუსტობაზე, რათა მეთოდოლოგიური დოკუმენტების დამტკიცების ნაწილში მკაფიოდ გაიმიჯნოს წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების კომპეტენციები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ახალგაზრდული საქმიანობა“, „ადმინისტრაციული სერვისები“, „მებაღეობა“, „ელექტროობა“, „ინფორმაციის ტექნოლოგია“, „სტომატოლოგიის ასისტენტი“, „შედულება“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ (ქალაქ ზუგდიდის ლოკაცია) საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ქალაქ ზუგდიდის ლოკაციაზე) (ს/კ: 220407888) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „ახალგაზრდული საქმიანობა“, „ადმინისტრაციული სერვისები“, „მებაღეობა“, „ელექტროობა“, „ინფორმაციის ტექნოლოგია“, „სტომატოლოგიის ასისტენტი“, „შედულება“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ (დანართი 2).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 3 სექტემბერი.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ქ. ზუგდიდის ლოკაცია) 2.2 კომპონენტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე: „ელექტროობა“, „შედულება“, „ინფორმაციის ტექნოლოგია“ და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის ვადად განისაზღვროს 2026 წლის 28 დეკემბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ახალგაზრდული საქმიანობა“, „ადმინისტრაციული სერვისები“, „მებაღეობა“, „ელექტროობა“, „ინფორმაციის ტექნოლოგია“ დამატების შესახებ (ქალაქ სენაკის ლოკაცია) საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ქალაქ სენაკის ლოკაციაზე) (ს/კ: 220407888) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „ახალგაზრდული საქმიანობა“, „ადმინისტრაციული სერვისები“, „მებაღეობა“, „ელექტროობა“, „ინფორმაციის ტექნოლოგია“ (დანართი 3).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 3 სექტემბერი.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ქ. სენაკის ლოკაცია) 2.2 კომპონენტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე: „ელექტროობა“ და „ინფორმაციის ტექნოლოგია“. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის ვადად განისაზღვროს 2026 წლის 28 დეკემბერი.

მეოთხე საკითხი: სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბჭოს მიერ ჩაინიშნული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თეკლე ცუცქირიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და აღნიშნა, რომ 2026 წლის 7 ივლისს ექსპერტთა ჯგუფმა (ჯგუფის წევრი: დიმიტრი ქარსალაძე) განახორციელა მონიტორინგის ვიზიტი სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში (მისამართი: ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №21). ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა წინა ავტორიზაციის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის შემოწმება და ავტორიზაციის პირობების შესრულების შეფასება, კერძოდ, 3.1 (სტუდენტთა უფლებები და მხარდაჭერის სერვისები – ინდიკატორი 3.1.1) და 4.1 (ადამიანური რესურსი – ინდიკატორები 4.1.1.2 და 4.1.1.3) კომპონენტების ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო ადგილზე ვიზიტისას შეამოწმა განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურა, სამუშაო აღწერილობები, თანამდებობრივი ინსტრუქციები, პერსონალის პირადი საქმეები და ჩაატარა ინტერვიუები ადმინისტრაციულ პერსონალთან, შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან და სტუდენტებთან.

ექსპერტმა დეტალურად ისაუბრა 3.1 კომპონენტთან დაკავშირებით განხორციელებულ ცვლილებებზე. წინა ვიზიტისას გამოკვეთილი ხარვეზი, რომელიც ეხებოდა სტუდენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში მათი უფლებების ცალკე დებულებად გამოყოფის არარსებობას, სრულად აღმოიფხვრა. განახლებულ ხელშეკრულებებში მკაფიოდ აისახა პროფესიულ სტუდენტთა უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები, მათ შორის ხარისხიანი განათლების მიღების, მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო რესურსებით უწყვეტი სარგებლობის, ობიექტური შეფასებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების უფლებები. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა ხელშეკრულებები, მათ შორის არასრულწლოვან სტუდენტთა კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული დოკუმენტაცია, და დადასტურდა მათი სრული შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან. გარდა ამისა, სტუდენტებთან გასაუბრებამ გამოავლინა, რომ სასწავლო პროცესის დაწყებამდე მათთვის ტარდება საორიენტაციო შეხვედრები და უზრუნველყოფილია მათი სრული

ინფორმირებულობა. დაწესებულებაში ასევე მოქმედებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მარეგულირებელი წესი და გამოყოფილია ინკლუზიური განათლების კოორდინატორი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა 3.1 კომპონენტი შეაფასა სტანდარტთან სრულ შესაბამისობაში.

ადამიანური რესურსის კომპონენტზე (კომპონენტი 4.1) საუბრისას, ექსპერტმა განმარტა, რომ გადაიხედა ცენტრის საშტატო განრიგი და ორგანიზაციული სტრუქტურა, რის შედეგადაც გაიზარდა ადამიანური რესურსი და სამუშაო დატვირთვა პერსონალზე უფრო გონივრულად და თანაბრად გადანაწილდა (ინდიკატორი 4.1.1.2). განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ინდიკატორ 4.1.1.3-ს, სადაც წინა შეფასებით ფიქსირდებოდა ინტერესთა კონფლიქტი, ვინაიდან ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ჩართული იყო ისეთ ადმინისტრაციულ პროცესებში (სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა/აღდგენა, მობილობა, სწავლის შედეგებისა და კვალიფიკაციების აღიარება, საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარეობა), რომელთა ობიექტური შეფასება და მონიტორინგიც შემდგომ თავად ევალებოდა. მიღებული ზომების შედეგად, შეიცვალა პროფესიული განათლების ცენტრის დებულება, ხარისხის მართვის მენეჯერი გამოირიცხა საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობიდან (კომისიის ხელმძღვანელობა დაევალა სასწავლო პროცესის კოორდინატორს) და მისი ფუნქციები მკაცრად კონცენტრირდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვაზე, მონიტორინგზე, ვერიფიკაციასა და შეფასების პროცესების გაუმჯობესებაზე. ამასთანავე, გადამოწმდა პერსონალის შერჩევის გამჭვირვალობა, საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან თანხვედრა და გუნდური მუშაობის პრაქტიკა.

ყველა გარემოების, დოკუმენტური მასალისა და ინტერვიუების შედეგების შეჯერების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სრულად აღმოფხვრილია მანამდე არსებული ყველა შეუსაბამობა და შემოწმებული კომპონენტები (3.1 და 4.1) სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, კონკრეტულად რომელი ახალი საშტატო ერთეულები დაემატა პროფესიული განათლების ცენტრს სამუშაო დატვირთვის გადანაწილებისა და პროცესების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, და რამდენად შეესაბამებოდა პერსონალის ყოველდღიური სამუშაო დატვირთვა კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს მას შემდეგ, რაც ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ადმინისტრაციული ფუნქციები სასწავლო პროცესის მართვის პერსონალზე გადავიდა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თეკლე ცუცქირიძემ განმარტა, რომ დაწესებულებამ შემოიღო ადამიანური რესურსების განვითარების მენეჯერის, სასწავლო პროცესის კოორდინატორის, არაფორმალური განათლების აღიარების მენეჯერისა და შრომის უსაფრთხოების ორი სპეციალისტის პოზიციები. ფუნქციათა ამგვარმა გადანაწილებამ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს საშუალება მისცა სრულად კონცენტრირებულიყო ხარისხის შიდა მექანიზმების მონიტორინგსა და განვითარებაზე, ხოლო პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და თანამდებობრივი ინსტრუქციების შესწავლამ დაადასტურა, რომ მათი დატვირთვა არ სცდება დადგენილ ნორმებს. გარდა ამისა, შეფასების უწყისებსა და შიდა ვერიფიკაციაში ადრე დაფიქსირებული ხარვეზების პრევენციის მექანიზმებთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ფუნქციური განტვირთვის შედეგად ხარისხის მართვის მენეჯერი უწყვეტად ახორციელებს პროცესების ზედამხედველობას, ხოლო ადგილზე შემთხვევითი შერჩევით გადამოწმებული შეფასების უწყისები და ვერიფიკაციის დასკვნები სრულად აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ დამატებითი შეკითხვა დასვა ინდიკატორ 3.1.1.5-თან დაკავშირებით და იკითხა, თუ რატომ არ დაფიქსირებულა დაწესებულებაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკული გამოცდილება ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა სტუდენტის მობილობა ან სტატუსის აღდგენა, და რა მექანიზმებით რეგულირდება აღნიშნული პროცესები.

აღნიშნულ საკითხზე განმარტება გააკეთეს დაწესებულების წარმომადგენლებმა ნანა შარაბიძემ და გიორგი ოკრიბელაშვილმა. მათ აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტს გააჩნია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მოქმედი სამართლებრივი რეგულაცია, თუმცა პრაქტიკაში მობილობისა და სტატუსის აღდგენის პროცესები რეგულირდება მობილობის კომისიის შესაბამისი დასკვნებითა და რექტორის ბრძანებით. აღნიშნულ დასკვნაში დეტალურად განისაზღვრება სტუდენტის მიერ გასავლელი მოდულების ჩამონათვალი, დაწყებისა და დასრულების ვადები, რაც არსობრივად ასრულებს ინდივიდუალური გრაფიკის ფუნქციას და სრულფასოვანი ინდივიდუალური გეგმის ცალკე შედგენის საჭიროებას არ წარმოშობს. რაც შეეხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებს, დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ უნივერსიტეტში ირიცხებიან სსსმ/შშმ სტუდენტები (მათ შორის სმენადაქვეითებული და გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირები), თუმცა მათთვის უზრუნველყოფილი დამხმარე სერვისების, ადაპტირებული ტრანსპორტირებისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტების მხარდაჭერის შედეგად, მათ შეძლეს ძირითადი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სრულად მიღწევა, რის გამოც სწავლის შედეგების მოდიფიცირებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის აუცილებლობა არ დამდგარა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბჭოს მიერ ჩანიშნულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ს/კ: 212693049) საბჭოს მიერ ჩანიშნულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 3 სექტემბერი.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე გიგაშვილმა, დატოვა სხდომა.

მეხუთე საკითხი: სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება", "მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავის შეკეთება", "მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება" და "ელექტროობა" დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თეკლე ცუცქირიძემ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ოთხი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ექსპერტმა საბჭოს დეტალურად გააცნო პროგრამების პარამეტრები: „ელექტრობა“ (III დონე, საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში, იმიტირებული სწავლება, 66 კრედიტი ქართულენოვანი და 81 კრედიტი არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, წლიური ზღვრული რაოდენობა – 40 სტუდენტი); „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ (III დონე, საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთებაში, იმიტირებული სწავლება, 54/69 კრედიტი, ზღვრული რაოდენობა – 30 სტუდენტი); „მსუბუქი ავტომობილის შიგაწვის ძრავის შეკეთება“ (III დონე, საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შიგაწვის ძრავის შეკეთებაში, იმიტირებული სწავლება, 56/71 კრედიტი, ზღვრული რაოდენობა – 30 სტუდენტი); „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ (III დონე, საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთებაში, იმიტირებული სწავლება, 79/94 კრედიტი, ზღვრული რაოდენობა – 30 სტუდენტი). ოთხივე პროგრამაზე სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე, საბაზო განათლების დაშვების წინაპირობითა და მოტივაციური გასაუბრების საფუძველზე.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამები დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, შეესაბამება დაწესებულების მისიას, რეგიონული შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ეროვნულ საგანმანათლებლო სტანდარტებს, რის გამოც მეორე სტანდარტის ყველა კომპონენტი სრულ შესაბამისობაში შეფასდა. პროგრამა „ელექტრობა“ განთავსებულია მე-18 სასწავლო კორპუსში, ხოლო საავტომობილო მიმართულების სამივე პროგრამა – მე-11 სასწავლო კორპუსში (ჭავჭავაძის გამზ. №21). სასწავლო სივრცეები (A, B და C გარემოები) სრულად არის აღჭურვილი შესაბამისი დანადგარებით, ინსტრუმენტებითა და უსაფრთხოების ბარიერებით. პროგრამებს უძღვებიან კვალიფიციური პედაგოგები და დარგობრივი ხელმძღვანელები; თითოეულ მოდულზე გათვალისწინებულია მინიმუმ ორი მასწავლებელი, ხოლო იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც მოდულს ერთი პედაგოგი უძღვება, საპატიო გაცდენების ანაზღაურება რეგულირდება შაბათ დღეებში საათების აღდგენის გამართული პრაქტიკით. პროგრამები ფინანსურად მდგრადია და მათი რენტაბელობის ზღვარი მერყეობს 10-დან 15 სტუდენტამდე. მიუხედავად იმისა, რომ სწავლება ხორციელდება სრულად იმიტირებულ გარემოში, დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები დარგობრივ საწარმოებთან (სს „ენერგო-პრო ჯორჯია“, შპს „ჯეა“, შპს „ალეკო მოტორსი“) საექსკურსიო და სადამკვირვებლო აქტივობებისთვის. შრომის უსაფრთხოების

მონიტორინგს უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ორი სერტიფიცირებული სპეციალისტი. დარგობრივი ექსპერტის მხრიდან პროგრამა „ელექტრობაზე“ გაიცა მხოლოდ ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია მეხუთე სწავლის შედეგის ფარგლებში პარტნიორ კომპანიებში გასვლითი ვიზიტების ორგანიზების თაობაზე. შეფასებისა და ვერიფიკაციის სისტემა შეფასდა როგორც გამართული, ვალიდური და ობიექტური.

ვინაიდან მე-11 სასწავლო კორპუსი (ახალგაზრდობის გამზ. №98 / ჭავჭავაძის გამზ. №21) არ იყო შემოწმებული წინა ავტორიზაციის პროცესში, მეხუთე სტანდარტთან (მატერიალური რესურსი და გარემო) შესაბამისობის ანგარიში წარმოადგინა ექსპერტმა ნათია მაცკეპლაძემ. მან განმარტა, რომ 5.1 და 5.2 კომპონენტები სრულად შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. კორპუსში უზრუნველყოფილია სათანადო სანიტარული კვანძები, ადაპტირებული გარემო, მდიდარი საბიბლიოთეკო ფონდი, შენობის კონსტრუქციული მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების ოფიციალური დასკვნები, სამედიცინო პუნქტი, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და 24-საათიანი დაცვა-ვიდეომონიტორინგი. გარდა ამისა, სრულად გამართულია საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, უწყვეტი ინტერნეტკავშირი (Wi-Fi), პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, ელექტრონული საქმისწარმოებისა და პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემები (EMIS), ასევე ოფიციალური ვებგვერდი. ექსპერტმა ჯგუფმა წარადგინა ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ოთხივე პროგრამა სრულად აკმაყოფილებს ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, დაინტერესდა საგანმანათლებლო პროგრამების განაცხადში დაფიქსირებული ჩანაწერით დისტანციური სწავლების კომპონენტის შესახებ და იკითხა, რამდენად იყო აღნიშნული ტექნიკური შეცდომა გასწორებული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ საბოლოო დოკუმენტაციაში. ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ, თეკლე ცუცქირიძემ განმარტა, რომ ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა დისტანციური სწავლების არარსებობა, თუმცა ვიზიტის მოკლე ვადებისა და შემდგომ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დოკუმენტის არწარმოდგენის გამო, აკადემიური საბჭოს მიერ ხელახლა დამტკიცებული ვერსიის შემოწმება ვერ მოხერხდა. დაწესებულების წარმომადგენელმა გიორგი ოკრიბელაშვილმა განმარტა, რომ საზაფხულო საშვებულებო პერიოდის გამო აკადემიური საბჭოს სხდომის მოწვევა ვერ მოესწრო, თუმცა შესწორებული პროგრამები დამტკიცდება ახალი სასწავლო წლის პირველივე სხდომაზე, უშუალოდ სასწავლო პროცესის დაწყებამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე დასვა შეკითხვა პროფესიული მასწავლებლების ჯამური სამუშაო დატვირთვის შესახებ, ვინაიდან მათი ნაწილი პარალელურად უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს წარმოადგენს, და იკითხა, ხომ არ იკვეთებოდა შრომის კოდექსით დადგენილი 40-საათიანი კვირული ზღვრის გადაჭარბება. ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ დაადასტურა, რომ ხარისხისა და დარგის ექსპერტებმა ერთობლივად დეტალურად შეამოწმეს პერსონალის დატვირთვის დოკუმენტაცია, საათობრივი ბადე და სასწავლო გეგმები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პედაგოგთა ჯამური დატვირთვა სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმებს.

დამატებითი მსჯელობის საგანი გახდა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისა და პრაქტიკული სასწავლო სივრცეების გამტარუნარიანობის საკითხი. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენად უზრუნველყოფდა 15 სტუდენტზე გათვლილი პრაქტიკული გარემო (C ტიპის სივრცე) 30 და 40-სტუდენტიანი წლიური კვოტების მქონე პროგრამების შეუფერხებელ განხორციელებას და გამოიწვევდა თუ არა ჯგუფების ქვეჯგუფებად დაყოფა სასწავლო საათების გაორმაგებასა და ფინანსურ გადახარჯვას. ექსპერტმა განმარტა, რომ მოთხოვნილი კვოტები წარმოადგენს წლიურ მაქსიმუმს, ხოლო ერთ მიღებაზე ჯგუფის მოცულობა პროგრამა „ელექტრობაში“ შეადგენს 20, ხოლო საავტომობილო მიმართულების სამ პროგრამაში – 15

სტუდენტს. დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ სასწავლო პროცესის ცხრილი დაგეგმილია ისე, რომ ერთსა და იმავე პრაქტიკულ სივრცეში სხვადასხვა პროგრამისა და ქვეჯგუფის ნაკადების თანხვედრა სრულად გამორიცხულია, ხოლო არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სადიაგნოსტიკო აპარატურა სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დარგის ექსპერტის მიერ პროგრამა „ელექტროობაზე“ გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, თეკლე ცუცქირიძემ განმარტა, რომ რეკომენდაციის მიზანი იყო პარტნიორ კომპანიებთან (სს „ენერგო-პრო ჯორჯია“) არსებული ზოგადი მემორანდუმის ფარგლებში საექსკურსიო ვიზიტების დაკონკრეტება უშუალოდ „ელექტრონული ტექნოლოგიის“ მოდულის მეხუთე სწავლის შედეგზე. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან მსგავსი აქტივობები დაწესებულებას ისედაც დაგეგმილი ჰქონდა, განმავითარებელი რეკომენდაცია ატარებდა მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება", "მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება", "მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება" და "ელექტროობა" დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 5

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 212693049) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: "მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება", "მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება", "მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება", "ელექტროობა" (დანართი 4).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 3 სექტემბერი.

მეექვსე საკითხი: სსიპ კოლეჯ "ერქვანისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისები“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ბექა ადუაშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და აღნიშნა, რომ აღნიშნა, რომ საექსპერტო შეფასების შედეგად წარმოდგენილი პროგრამა მეორე სტანდარტის ოთხივე კომპონენტთან მიმართებით შეფასდა სრულ შესაბამისობაში. ექსპერტმა საბჭოს გააცნო პროგრამის ძირითადი პარამეტრები:

„ადმინისტრაციული სერვისები“ წარმოადგენს პროფესიული განათლების მეოთხე დონის პროგრამას. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აბაშის მუნიციპალიტეტის მერიასთან. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 15-ს. პროგრამა შემუშავებულია კოლეჯის დირექტორატის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის საფუძველზე და სრულად შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ პროგრამის დამატების დასაბუთება ლოგიკურია და მჭიდრო კავშირშია კოლეჯის მისიასთან, სტრატეგიულ მიზნებთან და რეგიონულ გამოწვევებთან, კერძოდ, ახალგაზრდების ადგილზე პროფესიულ მომზადებასთან, შიდა მიგრაციის შემცირებასა და მათ შემდგომ დასაქმებასთან ადგილობრივ მუნიციპალურ ორგანოებსა და მერიის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში. პროგრამის ინიცირებას საფუძვლად დაედო ადგილობრივი შრომის ბაზრისა და ორგანიზაციების საჭიროებათა კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 26-მა რეგიონულმა ორგანიზაციამ; გამოკითხულთა 48%-მა დაადასტურა აღნიშნული მიმართულებით კვალიფიციური კადრების მიღების საჭიროება. სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და ჩარიცხვის პროცედურები დარეგულირებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების შეფასებისას აღინიშნა, რომ კოლეჯს გააჩნია სრულად აღჭურვილი ერთი ლაბორატორიული გარემო 15 სტუდენტზე, ხოლო სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარსამართავად მოწვეულია 21 პროფესიული განათლების მასწავლებელი (10 პროფესიული და 11 ზოგადი მოდულებისთვის), რაც თითოეულ მოდულზე მინიმუმ 2-3 პედაგოგის გადანაწილების საშუალებას იძლევა. პერსონალის სამუშაო დრო დაგეგმილია საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნათა დაცვით და კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროგრამას ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე დარგობრივი ხელმძღვანელი, თუმცა, კოლეჯში არსებული ადამიანური პოტენციალის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია დარგში კიდევ უფრო მეტი გამოცდილების მქონე პირით ხელმძღვანელის ჩანაცვლების

შესაძლებლობის განხილვის თაობაზე. ექსპერტებმა 6 აგვისტოს განახორციელეს ადგილზე ვიზიტი აბაშის მუნიციპალიტეტის მერიაში და დაადასტურეს პრაქტიკის ბაზაზე სათანადო ინფრასტრუქტურის, სამუშაო გარემოსა და ადამიანური რესურსის არსებობა.

ექსპერტმა ასევე მიმოიხილა ხარისხის უზრუნველყოფის, შეფასებისა და ვერიფიკაციის მექანიზმები. კოლეჯში მოქმედებს მტკიცებულებებზე დაფუძნებული ციკლური სისტემა, რომელიც ითვალისწინებს შრომის ბაზრის ანალიზს, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა უკუკავშირს. შეფასების სისტემა რეგულირდება დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის №20 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით და ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპებს. შიდა ვერიფიკაციის პროცესს კოორდინაციას უწევს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მიზნით, ვერიფიკატორად არ ინიშნება შეფასების ინსტრუმენტის შემმუშავებელი პირი. კოლეჯს გააჩნია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მობილობით ჩარიცხული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემმუშავების მოქმედი წესი. ადგილზე შემოწმდა და დადასტურდა ბიბლიოთეკის მატერიალური და ელექტრონული რესურსების, ასევე ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკისა და IT ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წარუდგინა სათანადო ფოტომასალა და გამოხატა მზადყოფნა შეკითხვებზე პასუხის გასაცემად. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა ექსპერტთა ჯგუფს მიმართა შეკითხვით პროგრამის ხელმძღვანელის ჩანაცვლებასთან დაკავშირებით გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციაზე და დაინტერესდა, თუკი მოქმედი ხელმძღვანელი სრულად აკმაყოფილებდა სტანდარტით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რამ განაპირობა აღნიშნული რეკომენდაციის გაცემა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ბექა ადუაშვილმა განმარტა, რომ ადგილზე ვიზიტისას გამოიკვეთა რეგიონული მასშტაბით უაღრესად მაღალი კვალიფიკაციისა და დარგობრივი გამოცდილების მქონე სპეციალისტების არსებობა, რომელთაც პარალელურად გააჩნდათ პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილებაც. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული კადრების რესურსის გამოყენება პროგრამის ხელმძღვანელად მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს პროგრამის შემდგომ განვითარებას, თუმცა გადაწყვეტილების მიღება დაწესებულების დისკრეციას წარმოადგენს. კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივებთან და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ მერიასა და მის სტრუქტურულ ერთეულებში არსებობს კვალიფიციური კადრების დეფიციტი და მოქმედი წესით მათ აქვთ შესაძლებლობა, პროფესიული განათლების მქონე პირები დაასაქმონ მეორე კატეგორიის სპეციალისტის პოზიციებზე ან პირდაპირი შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ ყურადღება გაამახვილა პარტნიორ მუნიციპალიტეტთან გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფიქსირების საკითხზე და იკითხა, ხომ არ ქმნიდა დოკუმენტში კვოტის არარსებობა პრაქტიკული სწავლების შეუფერხებლად განხორციელების საოპერაციო ან სამართლებრივ რისკს. ექსპერტმა დაადასტურა, რომ ადგილზევე მოხდა დოკუმენტის კორექტირება და მემორანდუმში ოფიციალურად ჩაიწერა 15 პროფესიული სტუდენტის მიღების ვალდებულება. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების დირექტორმა, განმარტა, რომ კოლეჯის შიდა მარეგულირებელი წესის თანახმად, პრაქტიკული კომპონენტის დაწყებამდე ორი თვით ადრე პარტნიორ ორგანიზაციასთან ფორმდება დამატებითი ინდივიდუალური ხელშეკრულება, სადაც დეტალურად განისაზღვრება სტუდენტთა რაოდენობა, გრაფიკი და სწავლების ინტენსივობა, რაც სრულად გამორიცხავს ნებისმიერ შეფერხებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ "ერქვანისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისები“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 5

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ "ერქვანს" (ს/კ: 222934671) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები“ (დანართი 5).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 3 სექტემბერი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 15:30 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია



დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. № 14
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	56
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	71

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. № 192
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	56
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	71

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. № 14
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	63
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. №192
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. № 14
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. სენაკი. მშვიდობის ქ.192
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

პროგრამის სახელწოდება	სკოლამდელი აღზრდა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. № 14
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

პროგრამის სახელწოდება	სკოლამდელი აღზრდა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. სენაკი, მშვიდობის ქ, № 192
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. № 14
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. სენაკი, შშვიდობის ქ. №192
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127

პროგრამის სახელწოდება	ბიბლიოთეკარი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საბიბლიოთეკო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0322
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. № 14
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

პროგრამის სახელწოდება	ბიბლიოთეკარი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საბიბლიოთეკო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0322
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. სენაკი, შშვიდობის ქ. № 192
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

პროგრამის სახელწოდება	ვეტერინარია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0841
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. სენაკი, შშვიდობის ქ. № 192
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	45
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	128
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	158

პროგრამის სახელწოდება	მეზოსტნეობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მეზოსტნეობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. № 192
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	75

პროგრამის სახელწოდება	ფერმერობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. № 192
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მიღწევად რეჟიმში

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	52
პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე დაფიქსირებული საერთო ფაქტობრივი რაოდენობის ფარგლებში)	34
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. №192
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	3
პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე დაფიქსირებული საერთო ფაქტობრივი რაოდენობის ფარგლებში)	3
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
